მედიის განვითარების ფონდის ყოველკვირეული გამოცემა

# ბიულეტენი №10

10. 06 –16.06.2013

მონიტორინგი

## GDI-ის და MDF-ის ერთობლივი ინიციატივა



პრესკონფერენცია, 14 ივნისი

14 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI) და მედიის განვითარების ფონდი (MDF) პოლიტიკაში ეთნიკური, რელიგიური, სექსისტური და ჰომო/ტრანსფობიური რიტორიკის აღმოფხვრისა და ქართული პოლიტიკის გაჯანსაღების მიზნით, ერთობლივი ინიციატივით გამოვიდნენ:

„გვინდა საზოგადოების ყურადღება კიდევ ერთხელ მივაპყროთ, იმ ქსენოფობიურ განცხადებებს და შეფასებებს, რომლებმაც საქართველოს პოლიტიკურ დისკურსში სახიფათო მასშტაბი შეიძინა და უკვე ნორმად დამკვიდრდა. ქართული მედია სივრცე გაჯერებულია მსგავსი ტიპის რიტორიკით, რასაც მკაფიოდ აჩვენებს შესაბამისი მიმართულებით განხორციელებული არაერთი კვლევის შედეგი. ცხადია, რომ ამ მანკიერი პრაქტიკის ერთერთი ძირითადი წყარო საქართველოში მოქმედი პოლიტიკური კლასია.

გაგრძელება გვ. 10

ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია MDF და ის შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

## კვირის მიმოხილვა

10 - 17 ივნისის პერიოდში შემდეგი თემები იყო აქტუალური:

- სამთაწყაროში მუსლიმთა პარასკევის ლოცვის თემა, ისევე როგორც პრობლემის წარმოქმნის წინაისტორია ყველაზე სრულყოფილად მონიტორინგის ქვეშ მყოფი მედია საშუალებებიდან გაზეთმა “რეზონანსმა” გააშუქა. “იმედის” მთავარი საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტში, საზოგადოებრივი მაუწყებლისგან განსხვავებით არ იყო აღნიშნული ერთი არსებითი გარემოება: კერძოდ ის, რომ 14 ივნისს სოფელში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ჩასვლის შედეგად ლოცვის ჩატარება შესაძლებელი გახდა, მაგრამ მასში არა ადგილობრივი მუსლიმები, არამედ ჩასულები მონაწილეობდნენ;
- მედიაში რელიგიური ცრურწმენების საკითხის გაშუქება ელექტრონული პირადობის მოწმობების მიზანშეწონილობის საკითხს უკავშირდებოდა (გაზეთი “რეზონანსი”, “ასავალ-დასავალი”);
- ლინგვისტური ნიშნით დისკრიმინაციას რესპონდენტის (ღვთისო მამისიმედაშვილი კავკასიოლოგი) მხრიდან ჰქონდა ადგილი.
- ანტითურქულ განწყობებს კვლავ მედია-კავშირი “ობიექტივი” და პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელი (დავით თარხან-მოურავი) აღვივებდნენ;

გაგრძელება გვ. 2

მთავარი თემები



| | |
|---|---|
| სამთაწყაროში მუსლიმთა ტრადიციული ლოცვა | 2 |
| ცრურწმენები | 2 |
| ეთნიკური უმცირესობები | 3 |
| სექსუალური უმცირესობები | 5 |
| ICK-ს გამოხმაურება | 9 |



unag საქართველოს გაეროს ასოციაცია
USAID ამერიკელი ხალხისგან
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

## რელიგია

### სამთაწყაროში მუსლიმთა ტრადიციული ლოცვა

მონიტორინგის ქვეშ მყოფი მედია საშუალებებიდან ყველაზე სრულყოფილად 14 ივნისს, სოფელ სამთაწყაროში გამართული მუსლიმთა ლოცვის თემა გაზეთმა "რეზონანსმა" გააშუქა.

რეზონანსი, 15 ივნისი

ჟურნალისტმა ეკა ბასილაიამ არათუ სრულყოფილად ასახა ის, რომ 14 ივნისს სამთაწყაროში ლოცვის ჩატარება რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის ადგილზე ჩასვლის შედეგად გახდა შესაძლებელი, არამედ პრობლემების წარმოქმნის წინაისტორიაც შესთავაზა მკითხველს, მათ შორის ნიგვზიანსა და წინწყაროში განვითარებული მოვლენების ჩათვლით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტენდენციის წარმოჩენა და მოვლენების ანალიზი არა ჟურნალისტურ განზოგადებებში, არამედ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარის ტარიელ ნაკაიძის ინტერვიუშია მოცემული.

ჟურნალისტმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ლოცვა გაიმართა, მაგრამ სავარაუდოდ ფსიქოლოგიური წნეხის გამო, მასში ადგილობრივ მუსლიმებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ერთის მხრივ, რედაქცია გადმოსცემს სოფლის რწმუნებულის გულო ნადირაშვილის სიტყვებს, რომ მუსლიმებს ლოცვის უფლება აქვთ და მას ვერავინ ხელყოფს, ამავე დროს დაკვირვების ქვეშ მყოფ სხვა მედია საშუალებებისგან განსხვავებით, ჟურნალისტი, კახეთის საინფორმაციო ცენტრზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ადრინდელ რადიკალურად განსხვავებულ პოზიციებსაც იხსენებს. დედოფლისწყაროს გამგებლის ირაკლი შიოლაშვილისა და სოფლის რწმუნებულის გულო ნადირაშვილის ადრინდელი განცხადებების მოყვანა (რომ ისინი უმრავლესობის ინტერესებს დაიცავენ, უმრავლესობა კი სამლოცველოს გახსნის წინააღმდეგია) მკითხველს აძლევს შესაძლებლობას, დაინახოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის (გულო ნადირაშვილის) პოზიციის ცვლილება სამთაწყაროში სახელმწიფო მინისტრის ჩასვლის შემდეგ.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე და იმედი, ქრონიკა, 14 ივნისი

როგორც მოამბის, ასევე "ქრონიკის" ჟურნალისტებმა სიუჟეტებში აღნიშნეს, რომ რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის ჩასვლის შედეგად, სამთაწყაროში მუსლიმთა ტრადიციული ლოცვა შედგა, თუმცა მხოლოდ "მოამბემ" გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ტრადიციულ პარასკევის ლოცვას ადგილობრივი მუსლიმები არ დასწრებიან და ის მხოლოდ სოფელში ჩასულებმა აღავლინეს.
http://www.myvideo.ge/?video_id=2067668
http://www.myvideo.ge/?video_id=2067653

იმედი, ქრონიკა, 13 ივნისი

სიუჟეტი სამთაწყაროში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველისა და რელიგიათა საბჭოს იუსტიციის მინისტრთან შეხვედრას ასახავს.
http://www.myvideo.ge/?video_id=2066876

კავკასია, დღეს, 14 ივნისი

ტელეკომპანია კავკასიამ ვრცლად გააშუქა თბილისში მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფისა და არასამთავრობოების მიერ ორგანიზებული სოლიდარობის აქცია მუსლიმების მიმართ, რომელზეც სამთაწყაროში მუსლიმთა ღვთისმსახურებაში ხელის შეშლის ფაქტები დაგმეს.
http://www.myvideo.ge/?video_id=2067870

## ცრურწმენები

ასავალ-დასავალი, 10-16 ივნისი

> თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი:
> *"არ მინდა, მორწმუნე საზოგადოება შევაშინო, მაგრამ ათობით ათასი პირადობის მოწმობის ნომრებში აღმოჩნდა მიწყობილად სამი ექვსიანი. ახალ ელექტრონულ მოწმობაში არსად ამგვარი კომბინაცია არ იქნება."*
> http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/973/973.pdf

რეზონანსი, 10 ივნისი

გაზეთი ვრცელ სტატიას უთმობს "მართლმადიდებელ მოქალაქეთა საორგანიზაციო კრებულის" მიერ ელექტრონული პირადობის მოწმობის ალტერნატივის მოთხოვნით 8 ივნისს გამართულ შეკრებას. სტატიის სათაური "მორწმუნეები ID ბარათების გაცემის შეწყვეტას ითხოვენ" შეუსაბამობაშია სტატიის შინაარსთან, სადაც საუბარია ალტერნატიული პირადობის მოწმობის მოთხოვნაზე.

# ეთნიკური უმცირესობები

## ჩეჩნური ენის სწავლება

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 10 და 11 ივნისი

მოამბემ ზედიზედ ორი სიუჟეტი მიუძღვნა დუისის მოსახლეობის მოთხოვნას, სკოლებში ჩეჩნური ენის სწავლების შესახებ. 10 ივნისის სიუჟეტი პოზიტიური ხასიათის იყო და მასში რეინტაგრაციის სამინისტროს წარმომადგენელი სექტემბრიდან სასწავლო პროგრამის ამოქმედებაზე საუბრობდა. ხოლო 11 ივნისის სიუჟეტში დუისის სკოლებში ჩეჩნური ენის სწავლება, როგორც პრობლემა იყო წარმოდგენილი და მასში განათლების მინისტრი ამ საკითხის შესასწავლად გარკვეული დროის აუცილებლობაზე საუბრობდა. ვინაიდან მეორე სიუჟეტში ირკვევა, რომ იმ ოფიციალურ უწყებას, რომელიც საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამას ამტკიცებს, გადაწყვეტილება კურიკულუმში ჩეჩნური ენის შეტანის შესახებ არ მიუღია, გაურკვეველია, რატომ მიმართავს ჟურნალისტი კომენტარისათვის ჩეჩნეთის განათლების სამინისტროს მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილობრივებმა ამ უწყებას წერილით მიმართეს. ამ შემთხვევაში ჟურნალისტის მხრიდან რესპონდენტის არასწორად შერჩევა იკვეთება.

სიუჟეტში ასევე წარმოდგენილია კავკასიოლოგთა განსხვავებული პოზიციები სკოლებში ჩეჩნური ენის სწავლების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ერთი ექსპერტი (მამუკა არეშიძე) სწავლების მომხრეა, ხოლო ორი ექსპერტი (გიორგი შაიშმელაშვილი და ღვთისო მამისიმედაშვილი) ამ იდეის წინააღმდეგ გამოდის. პირველი რეგიონალური ენის ქარტიის რატიფიცირების საკითხის განხილვის პროცესში ამ ინიციატივის რეალიზებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს, ხოლო მეორე თავად ჩეჩნური ენის ლინგვისტური თვითმყოფადობის დისკრიმინაციას ახდენს.

> ღვთისო მამისიმედაშვილი, კავკასიოლოგი: *„მე ვერ ვხედავ დღეს აუცილებლობას, რომ იქ შემოღებული იყოს ჩეჩნური ენის კურსი. ქისტური დიალექტი მდიდარია არანაკლებ, ვიდრე ჩეჩნური ენა, მაგრამ თუ ქისტურ დიალექტზე გავლენა მოახდინა ქართულმა სალიტერატურო ენამ, ჩეჩნური იგივე არის მთლიანად შევსებული რუსული ლექსიკით.“*

ვინაიდან საკითხი ლინგვისტური თვითმყოფადობის შენარჩუნების უფლების რეალიზებას ეხება და არა მეცნიერულ ჭრილში ენობრივი საკითხების განხილვას, სასურველი იქნებოდა, ჟურნალისტს ეს თემა უფლებრივი კუთხით შესაბამისს ექსპერტებთან განეხილა, ასევე განათლების ექსპერტთან ან სამინისტროს შესაბამის წარმომადგენელთან დაინტერესებულიყო, რამდენად არსებობდა ენის არასავალდებულო, ფაკულტატური გზით სწავლების შესაძლებლობა.
http://www.myvideo.ge/?video_id=2063712
http://www.myvideo.ge/?video_id=2064922

## ეკომიგრანტების თემა

იმედია, ქრონიკა, 15 ივნისი

ეკომიგრანტების სოციალურ პრობლემებზე მომზადებული სიუჟეტის ანონსირებისას, საინფორმაციოს წამყვანი თორნიკე კვერენჩხილაძე აქცენტს არა სახელმწიფოს ვალდებულებაზე აკეთებს - საცხოვრებლით უზრნველყოს სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეები, არამედ ეთნიკური ბერძნების მიერ მათ საკუთრებაში რიცხული ბინებიდან ეკომიგრანტების “გამოსახლებაზე”, რაც ამ ეთნიკური ჯგუფის მიმართ ნეგატიურად განაწყობს მაყურებელს, მით უფრო იმ მძიმე სოციალური ვითარების აღწერის ფონზე, რომელშიც უსახლკაროდ დარჩენილი ეს ჯგუფი იმყოფება.

> თორნიკე კვერენჩხილაძე, წამყვანი: *„წალკის რაიონში ბერძნების მიერ გამოსახლებული ეკომიგრანტები მთავრობას დახმარებას სთხოვენ.“*

აღსანიშნავია, რომ თავად ჟურნალისტი სიუჟეტში სწორად გადმოსცემს საკითხის არსს, როცა წალკაში ბერძნების მიერ მიტოვებულ სახლებში ეკომიგრანტების შესახლებას მთავრობის მიერ პრობლემის დროებით მოგვარებად ხსნის. თავად ბერძნების ლეგიტიმური უფლება, ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ დაიბრუნონ საკუთარი ქონება, სიუჟეტში განვრცობილი არ არის, რადგან მასალის მთავარი ფოკუსი ეკომიგრანტთა რთული სოციალური პირობებია. თუმცა ეს საკითხი სინქრონში ერთ-ერთი ეკომიგრანტის მიერ ნეგატიურ კონტექსტშია წარმოჩენილი.

> ვაჟა იაკობიძე, ეკომიგრანტი: *“ამბობენ, მოდის ბერძენი, იმას უფლება აქვს, კერძო საკუთრებიდან გამოაგდოს კაცი.“*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2069315

გაგრძელება გვ. 4

## ეთნიკური უმცირესობები

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე 15 ივნისი

სოციალური პრობლემების კუთხით გააშუქა ეკომიგრანტების თემა საზოგადოებრივმა მაუწყებელ-მა. სიუჟეტში არც წამყვანის არც ჟურნალისტის მხრიდან ეთნიკური ბერძნების ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენა არ მომხდარა. http://www.myvideo.ge/?video_id=2069378

## ანტითურქული განწყობები

ობიექტივი, ღამის სტუდია, 15 ივნისი

უცნობი ტელემაყურებლის სატელეფონო კითხვის პასუხად - თუ რამდენად მიზანშეწონილია, როცა თურქი ეროვნების პიროვებები, ვინმე ოსმანი და თამაზი [გვარს ვერ აკონკრეტებს], რომლებმაც თითქოსდა ახლახანს მიიღეს მოქალაქეობა და ბათუმში მაღალ თანამდებაზე დაინიშნენ - პატრიოტთა ალიანსის ლიდერი დავით თარხან-მოურავი ქსენოფობიურ განცხადებებს აკეთებს და ავითარებს თეზას "საქართველო ქართველებისთვის." მისი განცხადება - საქართველოში ქართველი უნდა იყოს ბატონი, ხოლო დანარჩენი სტუმარი - ამ დისკრიმინაციული მიდგომის ილუსტრაციაა.

მაყურებელი: *"ესენი, გუშინ გამხდარი ქართველები რომ ზიან თანამდებობებზე, ამას არ უნდა მოეკითხოს აზრი?!"*

დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: *"საქართველოში თანამდებობები და განსაკუთრებით კიდევ აჭარაში, ცხადია, რომ აჭარლებს უნდა ჰქონდეთ და არა თურქებს… შემაშფოთა ამ ამბავმა… საქართველოში ქართველი უნდა იყოს ბატონი და დანარჩენი - სტუმარი და არა პირიქით. "*

ბიულეტენი №10

როგორც რესპონდენტი, ასევე გადაცემის წამყვანი სოსო ზაალიშვილი დაუსაბუთებელ პარალე-ლებს ავლებენ თურქების მიერ საქართველოს დაპყრობასთან, ასევე ოსმალეთის იმპერიის აღდგე-ნის თითქოსდა არსებულ თანამედროვე გეგმასთან, რომელსაც ისინი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, დავით ოღლუს მიაწერენ.

დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: *"აჭარელმა კაცმა ისედაც ძალიან ბევრი უბედურება ნახა და გადაიტანა ამ თურქებისგან და აი, ახლა თუ კიდევ ირკვევა, რომ თურქები კიდევ იკავებენ თანამდებობებს და აჭარას მართავენ, კარგად იქნება ჩვენი საქმე."*

სოსო ზაალიშვილი, წამყვანი: *"ეს პრაქტიკულად, დავით ოღლუს განცხადებების დადასტურებაა, რომელიც ჩვენს ეთერში გადის ხოლმე… ის უკვე მარტო აჭარაზე აღარ საუბრობს. სერიოზული ამბიციები აქვს ამ ადამიანს."*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12420

## მიწის საკუთრება

რუსთავი 2, კურიერი, 15 ივნისი

სოფელ სამთაწყაროში მიწების გასხვისებასთან დაკავშირებული პრობლემა ბიზნეს-კურიერს ძირითადად ადგილობრივი გლეხების უკმაყოფილების კონტექსტში აქვს გაშუქებული, რა დროსაც სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ინვესტორთა მიმართ დისკრიმინაციულ გამოთქმებს აქვს ადგილი:

სამთაწყაროს მკვიდრი: *"საქართველო იტალიელების არ არის. საქართველო ქართველების არის."*

სამთაწყაროს მკვიდრი: *"ქართულ ოთხ მეასედ საკუთარ მიწას მე თუ წამართმევენ და იტალიელს და ჩინელს მისცემენ, ეს თუ შეიძლება, ჩემზე გაფორმება არ შეიძლებოდა?"*

სამთაწყაროს მკვიდრი: *"აქ ჩამოუშვეს უცხოელები, ჩემი მიწა მათ მიყიდეს, მე კი უცხოეთში გავხდი იძულებული წავიდე."*

## სექსუალური უმცირესობები

<u>ასავალ-დასავალი, 10-16 ივნისი</u>

გაზეთი აქვეყნებს ფსიქიატრ ფრანჩესკო ბრუნოს (La repubblica) ჰომოფობიურ შეფასებებს, რომელიც დისკრიმინაციულია არა მხოლოდ სექსუალური უმცირესობების, არამედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ და მათ სტიგმატიზირებას ახდენს.

ფრანჩესკო ბრუნო, ფსიქიატრი: *„... მაგრამ მე მაინც იმავე აზრზე ვარ და გეების კრიტიკის არ მეშინია, ჰომოსექსუალიზმი ეს გადახრაა. კონცეპტუალური მოსაზრებით, ჰომოსექსუალისტი იმავე მდგომარეობაშია, რომელშიც ინვალიდია, ყრუ და ბრმა. გეები სექსუალური ხასითის ქმედებებზე არიან ორიენტირებულები და ეს არის ნორმიდან გადახრა.“*

<u>ობიექტივი, ღამის სტუდია, 11 ივნისი</u>

სახალხო კრების საპრეზიდენტო კანდიდატი, დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე ჰომოფობიურ განცხადებებს აკეთებს. რესპონდენტი სექსუალურ უმცირესობათა საარჩევნო ხმების დაკარგვას უმნიშვნელოდ მიიჩნევს და მოუწოდებს მათ საჯაროდ ნუ გამოხატავენ თავიანთ იდენტობას ან იყვნენ ისეთები, როგორიც თავად არის. რესპონდენტის მიდგომას ობიეტივის წამყვანიც იზიარებს.

ნინო ბურჯანაძე, დემოკრატიული მოძრაობა: *“ჩვენი პრობლემა თურმე ის ყოფილა, რომ ელგბტ პირები აუცილებლად გამოდიოდნენ და ჩემ და თქვენ შვილებს აყურებინებდნენ იმას, რომ თურმე შეიძლება, დედასაც დედა ერქვას და მამასაც მამა. არ მინდა მე ესა და ამას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ, რაც ჩემს ძალებში იქნება და არც დავუშვი, ვიდრე ხელისუფლებაში ვიყავი და ვიდრე პარლამენტის თავმჯდომარე ვიყავი. რა ვქნა ახლა, რაღაცა ხმების რაოდენობას, ალბათ, დავკარგავ, მაგრამ ნამდვილად ვერ მოვიქცევი ისე, რომ ახლა იმის გამო, რომ ლგბტ-ს წარმომადგენლებმა ხმები მომცენ. ერთადერთი, რასაც ვიტყვი, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რომ მათზე ძალადობა არ განხორციელდეს და არ დაჩაგრონ, მაგრამ შეიკეტონ თავისთვის ოთახებში, რაც უნდათ ის აკეთონ, გარეთ გამოვიდნენ, იყვნენ ჩვეულებრივი ადამიანები, როგორიც ვართ მე, თქვენ და ნებისმიერი სხვა. ნუ ვიყვირებთ, რომ მე ვარ ქალი, ნუ იყვირებს კაცი, რომ მე ვარ კაცი, გასაგებია ეს ისედაც”.*

ნინო რატიშვილი, წამყვანი: *”ნამდვილად, გეთანხმებით, საბოდიშო არ უნდა გვქონდეს, რო ქალები ვართ, მართლმადიდებლები ვართ, ქართველები ვართ და ა.შ.”*

http://obieqtivi.net/tv1.php?id=12356

გაგრძელება გვ. 6



ნინო ბურჯანაძე, დემოკრატიული მოძრაობა: *“...შეიკეტონ თავისთვის ოთახებში, რაც უნდათ ის აკეთონ, გარეთ გამოვიდნენ, იყვნენ ჩვეულებრივი ადამიანები, როგორიც ვართ მე, თქვენ და ნებისმიერი სხვა. ნუ ვიყვირებთ, რომ მე ვარ ქალი, ნუ იყვირებს კაცი, რომ მე ვარ კაცი, გასაგებია ეს ისედაც”.*

## სიძულვილის ენა

<u>ასავალ-დასავალი, 10-16 ივნისი</u>

ლევან ანჯაფარიძე, რეჟისორი: *“სააკაშვილი ურემზე უნდა შევსვათ და მთელი საქართველო შემოვატაროთ, ხალხმა სახეში რომ აფურთხოს არ ვიცი, სააკაშვილისთანა გარეწარი ადამიანისთვის ეს რამდენად მძიმე სასჯელი იქნება, მაგრამ იმისთვის პრევენცია იქნება, ვინც მის ადგილეზე მოსვლას აპირებს!..*

*ასევე უნდა მოვექცეთ დანარჩენ ნაციონალებსაც. ყველა ქართულად მოაზროვნე ადამიანს მოვუწოდებ, თავი შეიკავეთ ამ პარაზიტების ხელის გასვრისგან. რესტორანში ან სადმე სხვაგან ნუ გაუსწორდებით, უბრალოდ შეაფურთხეთ და ჩაუარეთ. მაპატიოს ხალხმა, არაესთეტიკურად ვსაუბრობ, მაგრამ ასეა. უნდა ვაიძულოთ ისინი, რომ ქვეყნიდან გაქცევა მოუნდეთ!”*

http://www.asavali.ge/archive adas/2013/973/973.pdf

## მიწის საკუთრება

დასაწყისი გვ. 4

იტალიელი ინვესტორის წარმომადგენლის პოზიცია სიუჟეტში არათანაზომადად არის მოწოდებული - მცირედი სინქრონით, რომელიც ემოციურ მდგომარეობას უფრო ასახავს, ვიდრე სამართლებრივს. სიუჟეტში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ ამ საკითხზე გამოძიება მიმდინარეობს. ჟურნალისტი ბეგრაუნდის სახით საქართველოს სხვა რეგიონებში უცხოელ ინვესტორებთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებსაც იხსენებს და ამ თემას ქვეყანაში კოპტების მიგრირების პროცესს უკავშირებს, რომელთაც სარწმუნოების გამო უწევთ ეგვიპტიდან მიგრირება და საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებას გეგმავენ.

http://www.myvideo.ge/?video_id=2067975

<u>ასავალ-დასავალი, 10-16 ივნისი</u>

ხათუნა ბოკუჩავა, მსახიობი: *“დამიძახონ თუ უნდათ რასისტი, მაგრამ მოვითხოვ, მოისპოს ზანგებისთვის, ჩინელებისთვის, არაბებისთვის, ინდოელებისთვის მიწების ჩუქება.”*

# სექსუალური უმცირესობები

## ანტიდასავლური განწყობები, დაუსაბუთებელი პარალელები

მაესტრო, პოლტმეტრი, 14 ივნისი

რუსეთში ქართველთა კავშირის პრეზიდენტი მიხელ ხუბუტია დაუსაბუთებელ პარალელებს ავლებს სექსუალურ უმცირესობათა უფლებებთან და საქართველოს სახელმწიფოს საგარეო სტრატეგიულ არჩევანთან, როცა ჩრდილოატლანტიკურ ალანსში ქვეყნის წევრობას “გეი აღლუმებთან” აკავშირებს და ამ თემებზე რეფერენდუმის ჩატარების მიზანშეწონილობაზე საუბრობს. გადაცემის წამყვანი ნინო ჟიჟილაშვილი რესპონდენტს შეახსენებს, რომ ნატოსთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეთა ნება უკვე გამოხატულია.

**მიხეილ ხუბუტია, რუსეთში ქართველთა კავშირი:** *“რა გვინდა ჩვენ 2020 წელს, 2030 წელს? მათ შორის გეი-აღლუმები გვინდა? რომ ყველგან იარონ, თუ ნატო გვინდა?! აი, უნდა გადავწყვიტოთ, რაში დაგვეხმარება, რას მოგვიტანს?! თუ რუსეთი გვინდა, რას მოგვიტანს?! რეფერენდუმი ჩავატაროთ.”*
http://www.myvideo.ge/?video_id=2067624

კვირის ქრონიკა, 10-16 ივნისი

ჟურნალისტი ნინო სამხარაძე ავითარებს სპეკულაციას, თითქოს დასავლეთისთვის უფლებრივი პრეფერენციები არსებობდეს და მათთვის ავღანეთში გარდაცვლილი ადამიანების სიცოცხლე ნაკლებ პრიორიტეტულია სექსუალურ უმცირესობებთან შედარებით. ამასთანავე ჟურნალისტი ავღანეთის სამშვიდობო მისიას არა გლობალური უსაფრთხოების კუთხით განიხილავს, რომელიც ყველა ქვეყნისთვის პრობლემატურია, არამედ ტერორიზმთან ბრძოლას მხოლოდ დასავლეთის სამხედრო ოპერაციად წარმოაჩენს (“მათ ოპერაციებს ეწირებიან”). ჟურნალისტის ამ პათოსს დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძეც იზიარებს.

**ნინო სამხარაძე, ჟურნალისტი:** *“თქვენ ბრძანეთ, რომ დასავლეთი არის პარტნიორი ქვეყანა, რომელსაც ვერ ვუღალატებთ, მაგრამ სად არის დღეს დასავლეთი, რომელიც 17 მაისს სახეს იხოკავდა და „ლგბტ”- საზოგადოებას გაკაპასებული იცავდა. ნუთუ, სექსუალური უმცირესობები მათთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ტერორიზმთან მებრძოლი ჯარისკაცების სიცოცხლე, რომლებიც, სხვათა შორის, მათ ოპერაციებს ეწირებიან? რამდენად სწორია, როცა ქართველები აპატურაისგან ვიგებთ ჩვენი მებრძოლების გარდაცვალებას და შემდეგ ამას თავდაცვის სამინისტრო ადასტურებს?”*

**ნინო ბურჯანაძე, დემოკრატიული მოძრაობა:** *“ერთი ვაი-ვიში ატყდა დასავლეთიდან, 17 მაისს, ეს არის ძალიან გამაღიზიანებელი, ლამის ამის გამო მთელი დასავლეთი დაუპირისპირდა საქართველოს, მაშინ, როცა წინა დღით ავღანეთიდან ჩამოვასვენეთ 3 ჯარისკაცი, არც მაშინ და არც დღეს, იგივე დასავლეთის მხრიდან არ მოგვისმენია მათი აღშფოთება და სინანული.”*

ასავალ-დასავალი, 10-16 ივნისი

საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის სიტყვები, რომ *“სტალინი ისეთივე დამნაშავეა, როგორც ჰიტლერი”* - ჟურნალისტ გიორგი გიგაურის მხრიდან მისი კრიტიკის საფუძველი გახდა. აღსანიშნავია, რომ როგორც წესი, ასავალ-დასავალის სარედაქციო პოზიციისთვის მიუღებელი მოსაზრებები, განსახილველი თემისდა მიუხედავა, ზოგადად “ლიბერასტულ ელიტას” [„ლიბერალის“ და „პედერასტის“ კომბინაცია] მიეწერება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, დაუსაბუთებელი პარალელის გაკეთება ხდება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, მისი სექსუალური ორიენტაციის გამო, რასაც სტალინის პიროვნების შეფასებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ბიულეტენი №10



**მიხეილ ხუბუტია, რუსეთში ქართველთა კავშირი:** *“რა გვინდა ჩვენ 2020 - 2030 წელს? მათ შორის გეი აღლუმები გვინდა? რომ ყველგან იარონ, თუ ნატო გვინდა?!”*

## სექსუალური უმცირესობები

გიორგი გუგაური, ჟურნალისტი: *"რა თქმა უნდა, ე.წ. ცივილიზებული სამყაროს ლიბერასტულ ელიტას მოეწონებოდა მაია ფანჯიკიძის ბერწი ისტორიული განსწავლულობა და ელამი პოლიტიკური მსოფლხედვა, მაგრამ ეს ქალბატონი ხომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია და არა მაგალითად გერმანიისა! ანუ ქვეყნის, რომელსაც უკვე ჰყავს მთავარ დიპლომატად სერ გვიდო ვესტერველე - ოფიციალური ჰომოსექსუალი, რომელმაც ამ ორი წლის წინათ დიდი ზეიმით იქორწინა თავის მსგავს მამაკაცზე და ბედნიერი ლგბტ ოჯახის პატრონია."*

ასავალ-დასავალი, 10-16 ივნისი

ნინო ბედნელიანი, ჟურნალისტი: *"ბატონო ლევან, თქვენს ფილმში ერთ ფრაზას ამბობთ - თუ გვინდა გადავრჩეთ, თვითმყოფადობა უნდა შევინარჩუნოთ. 17 მაისს რუსთაველის გამზირზე გეი-აღლუმის ჩატარების მორიგი მცდელობა ხალხმა აღკვეთა, რასაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, უმცირესობის უფლებების შეზღუდვა როგორ გაბედეთო"...*

ლევან ანჯაფარიძე, რეჟისორი: *"არ მინდა პედარასტად შევიდე არც ნატოში და არც ევროკავშირში!"*

http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/973/973.pdf



ლევან ანჯაფარიძე, რეჟისორი: *"არ მინდა პედარასტად შევიდე არც ნატოში და არც ევროკავშირში!"*

ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 ივნისი

გენერალი კობა კობალაძე, რომელიც ავღანეთის მისიაზე სასაუბროდ არის მიწვეული გადაცემაში, სრულიად სამართლიანად აძლევს შენიშვნას გადაცემის წამყვანს ბონდო მძინარიშვილს, რომ მსმენელის ზარი და შემდეგ უკვე წამყვანის მხრიდან ერთ-ერთი გამოცემის ციტირება ამერიკის პოლიტიკის შესახებ არის გაუგებარი პარალელი და არავითარი კავშირი არ აქვს განსახილველ თემასთან.

მაყურებელი: *"ერთი რამ ვერ გაგვიგია, ეს პოლიტიკოსები გვეუბნებიან, ჩვენ საქართველოს ვიცავთ ავღანეთში და მსოფლიო მისია არის... ამავე დროს მსოფლიო, ევროკავშირი, ევროპარლამენტი გვეუბნება საქართველოს, დაიცავით აქ გეიები და ლგბტ-ია თუ რაღაც უბედურებების უფლებებიო... არაფერი საერთო არ აქვს აქ საქართველოს დაცვას და ლგბტ-ს დაცვას და ამას რომ გვკარნახობს ევროპარლამენტი, ვერ გავიგე, ჩვენც კიდევ თავქუდმოგლეჯით მივისწრაფით ზუსტად იმ ქვეყნისკენ, იმ ამერიკისკენ, სადაც უზნეობაა, არა?"*

კობა კობალაძე, გენერალი: [მიმართავს წამყვანს] *"მოცემულობა მე და თქვენი ურთიერთობის და საუბრის არის აბსოლუტურად სხვა და სხვა რაკურსში გადაყვანა, ლგბტ და ა.შ. ეს არის სხვა."* http://obieqtivi.net/tv1.php?id=12373

### პროპაგანდის აკრძალვა

ობიექტივი, ღამის სტუდია, 15 ივნისი

პატრიოტთა ალიანსის ლიდერი ავითარებს აზრს, რომ ჰომოსექსუალობა ავადმყოფობაა და მისი პროპაგანდა უნდა აიკრძალოს.

დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: *"კაცმა რომ თქვას, ცხენი ვარო, იტყვიან გიჟიაო. კაცმა რომ თქვას, უცხო პლანეტელი ვარო, იტყვიან გიჟიაო და კაცი რომ ამბობს, ქალი ვარო, რატოა ნორმალურიო... ჰომოსექსუალიზმი, ჩემი აზრით, არის დაავადება. მსოფლიოს მეცნიერება ზუსტად ასე თვლიდა 1973 წლამდე, როდესაც ამერიკის მეცნიერულმა წრეებმა დაიწყეს გამოცხადება, რომ ეს დაავადება არაა და ჩემი აზრით, ეს გადაწყვეტილება სწორედაც, რომ ჰომოსექსუალისტების და დიდი დახარჯული ფულის ხარჯზე მოხდა... ის, რომ 2 ჰომოსექსუალისტი სახლში ჩაიკეტება და რას გააკეთებს, ჩვენ ეს გვესმის, ეს ჩვენი საქმე არაა... მაგრამ ის, რომ ამის პროპაგანდა სრულიად დაუშვებელი და მიუღებელია საზოგადოებაში... ახლა ვიწყებთ გამოკითხვას... რომ აი, ეს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა აიკრძალოს."* http://obieqtivi.net/tv1.php?id=12419

გაგრძელება გვ. 6

## სექსუალური უმცირესობები

*"...ამ ჰომოსექსუალისტების და საერთოდ ამ პროპაგანდის წინააღმდეგ რომ მიღებულ იქნას კანონი".*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12420

ობიექტივი, ღამის სტუდია, 10 ივნისი

გადაცემის წამყვანი ილია ჩაჩიბაია და პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელი მანუჩარ მაჩაიძე ე.წ. ჰომოსექსუალობის "პროპაგანდის" აკრძალვის თემას უმრავლესობის აზრის გათვალისწინების კუთხით განიხილავენ, რაც თავისთავად დისკრიმინაციული მიდგომაა, რადგან დემოკრატიულ სახელმწიფოში უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საკითხები უმრავლესობის დიქტატით არ წყდება. საუბარი შეეხება პატრიოტთა ალიანსის მიერ დაგეგმილ კვლევას, რომელიც ამ ორგანიზაციის მიერ ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხზე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ანალოგიით უნდა ჩატარდეს.

**ილია ჩაჩიბაია, წამყვანი:** *"რასაც უკვე იტყვის მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი, ის უნდა გაკეთდეს, ალბათ?"*

**მანუჩარ მაჩაიძე, პატრიოტთა ალიანსი:** *"ჩვენ მიგვაჩნია, რომ პროპაგანდა, რომელსაც სექსუალური უმცირესობის ადამიანები აწარმოებენ საქართველოში, არასწორია და ჩვენ კარგად ვიცით, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი, როგორც მართლმადიდებელი მრევლი, წინააღმდეგია ამისა."*

**ილია ჩაჩიბაია, წამყვანი:** *"საერთოდ, რამდენად დამღუპველია ასეთი ცხოვრების წესის პროპაგანდა ჩვენი მომავლისთვის, ჩვენი შვილებისთვის?"*

**მანუჩარ მაჩაიძე, პატრიოტთა ალიანსი:** *"პროპაგანდა, რა თქმა უნდა, საშინელებაა, მაგრამ მაგაზე უფრო საშინელებაა ის, რაც ბოლო 9 წლის განმავლობაში ხდებოდა საქართველოში... 2 ათასი კაცი ჩივის იმაზე, რომ ისინი სხვადასხვა დროს გააუპატიურეს ციხეებში... მიზანმიმართულად ხდებოდა სექსუალური უმცირესობის მხრიდან სექსუალური უმრავლესობის, ანუ ჩვეულებრივი ადამიანების მიზანმიმართული გაუპატიურება... ვერც ამერიკის შეერთებული შტატები, ვერც ევროპა ამას ვერ გაამართლებს, რაც არ უნდა მხარის დამჭერები ჰყავდეს იმ ხალხს, ვინც ამ საქმეებს სჩადიოდა."*

**ილია ჩაჩიბაია, წამყვანი:** *"... ხომ არ ითვალისწინებს ეს ქმედება საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან იმას, რომ, სხვათაშორის, მსოფლიოში საკვების, წყლის დეფიციტია. იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცი და ქალი ერთმანეთზე არ იქორწინებენ, ანუ ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდება, შესაბამისად, მათ შვილიც ვერ ეყოლებათ და აქედან გამომდინარე, შემცირდება მსოფლიო საზოგადოება."*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=12341

### 17 მაისის შეფასება შს მინისტრის მიერ

ასავალ-დასავალი, 10-16 ივნისი

**ირაკლი ღარიბაშვილი, შს მინისტრი:** *,,ნაციონალური მოძრაობის'' წარმომადგენლები ალბათ ოცნებობდნენ, რომ 17 მაისს პოლიციას დაერბია კონტრდემონტსტრანტები. ვინ უნდა დაგვერბია? 300 მოძღვარი, მრევლი და 40 000 ჩვენი თანამოქალაქე?..*

*დაზუსეტბით არ შემიძლია რამის თქმა, რადგან ეს გამოძიებით არ არის დადასტურებული, მაგრამ მე ვიცი, ვინ იდგა 17 მაისს დაგეგმილი პროვოკაციის უკან. ეს ძალიან ადვილი მისახვედრია და თქვენც მიხვდებით და მკითხველიც!"* http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/973/973.pdf

ბიულეტენი №10



**ილია ჩაჩიბაია, წამყვანი:** *"ხომ არ ითვალისწინებს ეს ქმედება საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან იმას, რომ, სხვათა შორის, მსოფლიოში საკვების, წყლის დეფიციტია. იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცი და ქალი ერთმანეთზე არ იქორწინებენ, ანუ ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდება, შესაბამისად, მათ შვილიც ვერ ეყოლებათ და აქედან გამომდინარე, შემცირდება მსოფლიო საზოგადოება."*

## ICK-ს გამოხმაურება

#9 ბიულეტენში გასულ მასალასთან დაკავშირებით, რომელიც 7 ივნისს სოფელ სამთაწყაროში მუსლიმთა ლოცვის დროს მომხდარი ინციდენტის გაშუქებას ეხებოდა, MDF-ს კახეთის საინფორმაციო ცენტრის (ICK) ხელმძღვანელი, გელა მთივლიშვილი დაუკავშირდა. მან ამ შემთხვევის გაშუქების ამსახველი პუბლიკაციები და ვიდეო-მასალები მოგვაწოდა, რომელიც მომხდარის შესახებ მეტად სრულყოფილ ინფორმაციას იძლევა, ვიდრე ეს ჩვენი ორგა-ნიზაციის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ქვეშ მყოფი მედია საშუალებების მასალებშია ასახული. მართალია, კახეთის საინფორმაციო ცენტრი არ არის ჩვენი დაკვირვების ობიექტი, ისევე როგორც სხვა ინტერნეტ-პო-რტალები, მაგრამ ვთვლით, რომ ამ რეგიონალური მედია-საშუალების მიერ მოპოვებული მასალები სამთაწყაროში მუსლიმთა ლოცვის მხრივ შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით, შესაძლოა, ღირებული წყარო იყოს სხვა ჟურნალისტებისთვის, როგორც ფაქტობრივი თვალსაზრისით, ასევე კონტექსტის აღქმის მხრივაც. ამიტომაც ვაქვეყნებთ კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ მომზადებული მასალების ვებ-მისამართებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რაც, იმედს გამოვთქვამთ, დაეხმარება დაინტერესებულ ჟურნალისტებს აღნიშნულ თემაზე მასალების მომზადებაში:

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

- სამთაწყაროში მუსლიმური სამლოცველო სახლის გახსნის მოწინააღმდეგებმა პირველად, 24 მაისს, ადგილობრივი მუსლიმები სამლოცველო სახლიდან ძალის გამოყენებით გაყარეს; http://ick.ge/articles/14431-i.html
- მეორედ, 31 მაისს, სამთაწყაროს მცხოვრებლებმა მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლები სოფელში არ შეუშვეს; http://ick.ge/articles/14503--videos.html
- მესამედ, 7 ივნისს, ადგილობრივ ხოჯაზე ზეწოლა განხორციელდა, რის გამოც მან ლოცვა ვერ შეძლო, ავად გახდა და სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა. http://ick.ge/articles/14566-i.html
- 28 ივნისს, პარასკევს, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში ხოჯას სულიკო ხოზრევანი-ძის ოჯახს თავს დაესხნენ ამავე სოფლის მაცხოვ-რებლები. http://ick.ge/articles/14818--video.html
- 3 ივლისს, საქართველოს სახალხო დამცველმა გაავ-რცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც 7 ივნისს, „შსს-ს თანამშრომლები ხოჯას ციხეში ამოლპობით ემუქრებოდნენ“. შს სამინისტრომ ეს ბრალდება უარყო. http://ick.ge/articles/14873-i.html
- 5 ივლისს, დილით, კახეთის საინფორმაციო ცენტ-რისთვის მიცემულ ინტერვიუში ხოჯა სულიკო ხო-ზრევანიძემ განაცხადა, რომ 29 ივნისს, მასთან, სახ-ლში 15–მდე ადგილობრივი მივიდა და მოსთხოვეს პასუხი, დაესწრებოდნენ თუ არა ის და მის შვილები პარასკევის ლოცვას. „ჩვენ ვუთხარით, რომ ლოცვა-ზე აღარ გავიდოდით, სხვა გზა არ გვაქვს. მათ მოგვ-თხოვეს, რომ სახლის ეზოში არავინ შემოვუშვათ, მათ შორის არც ჟურნალისტები“, - განუცხადა კახე-თის საინფორმაციო ცენტრს სულიკო ხოზრევანიძემ. http://ick.ge/rubrics/politics/14862-i.html
- 5 ივლისს, სამთაწყაროში პარასკევის ტრადიციული ლოცვა შედგა, თუმცა მას ადგილობრივები ისევ არ დაესწრნენ. http://ick.ge/articles/14649-jjja.html
- 8 ივლისს, მუსლიმების წინამძღვარმა, ხოჯა სული-კო ხოზრევანიძემ სოფელი დატოვა. როგორც მან კა-ხეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, სოფელ-ში რელიგიური ნიშნით მის ოჯახზე განხორციელე-ბული მუქარის ფაქტების გამო ჯანმრთელობას უჩიოდა, რის გამოც სამკურნალოდ აჭარაში წავიდა. მისივე თქმით, სამთაწყაროდან წასვლის ერთ–ერთი მიზეზი სოფელში არსებული დაძაბული მდგო-მარეობა იყო. http://ick.ge/articles/14953-i.html
- 12 ივლისს, პარასკევს, სამთაწყაროში, მუსლიმთა სამლოცველო სახლში მისვლა ვერცერთმა მუსლიმმა ვერ გაბედა. ლოცვა არ შედგა. დაახლოებით 13:00 საათისთვის, იმ დროს, როდესაც წესით ჯუმაში (მუ-სლიმების პარასკევის ტრადიციული ლოცვა) უნდა დაწყებულიყო, სამლოცველო სახლის მოპირდაპი-რედ მცხოვრები ფირუზ ჯაიანის ოჯახს ბოდბის ეპარქიის ეპისკოპოსი (პატრიარქის ქორეპისკოპოსი) იაკობი და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი მელქისედეკი ესტუმრნენ. http://ick.ge/articles/15033-main.html

## MDF-ის პასუხი მე-9 არხს

მედიის განვითარების ფონდმა განიხილა ტელეკომპანია მე-9 არხის წერილი, რომლის თანახმად, არხის საინფორმა-ციო სამსახურის ხელმძღვანელობა არ ეთანხმება ფონდის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგს იმასთან დაკავშირებით, რომ 7 ივნისს, მე-9 არხის საინფორმაციო გამოშვებაში სოფელ სამთაწყაროში მუსლიმთა ლოცვის ჩაშლის შესახებ მომზადებულ სიუჟეტში გარკვეული პროფესიული სტანდარტების დარღვევას ჰქონდა ადგილი.

გვესმის, რომ ნებისმიერი პროდუქცია, განსაკუთრებით ტელესიუჟეტი, შეიძლება ინტერპრეტაციის საკითხიც იყოს და მაყურებლის მიერ განსხვავებულად აღიქმებოდეს. თუმცა ფონდის ექსპერტების ამოცანა მედიის საქმიანობის მა-უწყებელთა ქცევის კოდექსის პრიზმაში დანახვაა, რაც, თავის მხრივ, დისკუსიის საფუძველი შეიძლება იყოს. გვინდა კოლეგების ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ მონიტორინგი სწორედ ქცევის კოდექსის ფორმულირებებს იყენებს. მიგვაჩნია, რომ მონიტორინგის დროს ადექვატურად იყო გამოყენებული კოდექსის ისეთი მუხლები, როგორიცაა მე-12 და მე-13 (სანდოობა და სიზუსტე), მე-16 (4) და მე-18 (2) (მიუკერძოებლობა), ასევე მე-13 (9) მუხლი.

რაც შეეხება თავად მომხდარის ფაქტობრივ მდგომარეობას, სიუჟეტის ფაქტობრივ სიზუსტესთან დაკავშირებით და-ინტერესებულ საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს ამავე დღეს სხვა ტელეკომპანიების (რუსთავი2; საზოგადოებრივი მაუწყებელი) სიუჟეტებში მოყვანილ ფაქტებს, ასევე „კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ (რომელიც ჩვენი მონიტო-რინგის საგანი არ არის, თუმცა საინტერესო წყაროა ამ საკითხთან დაკავშირებით) მასალებს. ასევე ინციდენტთან და-

გაგრძელება გვ. 10

მედიის განვითარების ფონდი

ალ.ჭავჭავაძის №54,
მე-5 სად. მე-4 სართული.
ქ.თბილისი, საქართველო, 0179

ტელ/ფაქსი: (+99532) 2 22 00 16

ელ.ფოსტა: info@mdfgeorgia.ge
mdfgeo@gmail.com

WWW.MDFGEORGIA.GE

Find us on Facebook

www.facebook.com/pages/
მედიის-განვითარების-ფონდი-
MDF-Media-Development-
Foundation/275686875901735

## GDI-ის და MDF-ის ერთობლივი ინიციატივა

დასაწყისი გვ. 1

პოლიტიკური პარტიების, გაერთიანებებისა და მოძრაობების ლიდერები და წევრები, ასევე მათი მხარდამჭერი საჯარო პირები, მიუხედავად მათი ორგანიზაციების ოფიციალურად დეკლარირებული შეხედულებებისა, ხშირად საკუთარ პოლიტიკურ რიტორიკას სწორედ ქსენოფობიასა და სიძულვილის ენას აფუძნებენ. ყოველივე ეს ხელსაყრელ ფონს უქმნის იმ ექსტრემისტულ ჯგუფებს, რომლებსაც ეს მოქმედება რიტორიკიდან მოქმედებაში გადაჰყავთ, რისი მკაფიო მაგალითი 17 მაისსა და შემდგომ დღეებში განვითარებული მოვლენები იყო, როდესაც ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღე თავად იქცა ჰომოფობიისა და ტრანსფობიის დემონსტრირების დღედ.

ხსენებული პრობლემების დასაძლევად საჭიროდ მიგვაჩნია სამოქალაქო სექტორის გაერთიანება ქსენოფობიასთან ბრძოლის იდეის ქვეშ, რათა ჩამოყალიბდეს ერთიანი სამოქალაქო პლატფორმა. აღნიშნულ ფორმატში, ერთი მხრივ, განხორციელდება ეფექტური მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში რეაგირებაც) ამ რიტორიკის გამოყენების თითოეულ ფაქტზე და მეორე მხრივ საზოგადოებრივი აზრის სწორად ფორმირების ხელშეწყობა.

აუცილებლად მიგვაჩნია, საქართველოში მოქმედმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა შექმნან ან გააძლიერონ შიდაპარტიული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკურ საქმიანობაში ქსენოფობიის ყველანაირი გამოვლინების აღმოფხვრას. ამავდროულად გამოვთქვამთ მზადყოფნას, აქტიურად შევუწყოთ ხელი პოლიტიკურ ორგანიზაციებს ამ მიმართულებით სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობაში.“

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (**GDI**)
მედიის განვითარების ფონდი (**MDF**)
http://mdfgeorgia.ge/index.php?menuid=15&lang=1&id=137

## კვირის მიმოხილვა

დასაწყისი გვ. 1

- ეთნიკური წარმომავლობის საკითხები კი აქტუალური სოციალური პრობლემების (ეკომიგრანტების საცხოვრებლის პრობლემა, მიწის საკუთრებითი საკითხები) რაკურსში იყო;
- ჰომოფობიურ განცხადებებს და დისკრიმინაციულ მიდგომას არა მხოლოდ სექსუალური უმცირესობების, არამედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ ჰქონდა ადგილი (ფრანჩესკო ბრუნო, „ასავალ-დასავალი“).
- ანტიდასავლური განწყობების გაღვივება კვლავ სექსუალურ უმცირესობათა საკითხის კონტექსტში ხდებოდა, როგორც რესპონდენტების (ნინო ბურჯანაძე, მიხეილ ხუბუტია, ლევან ანჯაფარიძე), ასევე ჟურნალისტების (გაზეთი “ასავალ-დასავალი” “კვირის ქრონიკა”) მხრიდან; ხოლო ჰომოსექსუალობის “პროპაგანდის” აკრძალვის თემის აქტუალიზებას ისევ მედია-კავშირი “ობიექტივი” და პატრიოტთა ალიანსი ახდენდნენ.

## MDF-ის პასუხი მე-9 არხს

დასაწყისი გვ. 1

კავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე, გამოძიების დაწყების მოთხოვნით გაკეთებულ სახალხო დამცველის მიმართვას, რომელიც თავად მუსლიმთა წინამძღვრის სულიკო ხოზრევანიის ახსნა-განმარტებებს ეფუძნება და დეტალურად აღწერს, თუ რა მოხდა 7 ივნისს სოფელ სამთაწყაროში. იმედი გვაქვს, ეს მასალა დაეხმარება კოლეგებს ჩვენს მიერ გამოთქმული შეფასებების უკეთ გაანალიზებაში.

ამასთან, გვინდა დავარწმუნოთ ჩვენი კოლეგები, რომ მედიის განვითარების ფონდის მიზანი მედიის საქმიანობის ხელშეწყობაა და არა კონფრონტაციული კრიტიკა. ყოველთვის მზად ვართ თქვენი კომენტარების და მოსაზრებების მისაღებად და განსახილველად.

აქვე გვინდა ბოდიში მოვუხადოთ ჟურნალისტ თამთა სანიკიძეს მისი სახელის არასწორად მოხსენიების გამო.
http://mdfgeorgia.ge/index.php?menuid=4&lang=1&id=153